საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/07

27 იანვარი, 2021 წ. ქ. ბათუმი

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „განათლების მეცნიერებები“ სადოქტორო საგანმანათლებლო ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ბსუ-ში რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, ,,2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვარის N06-01/01 დადგენილების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 27 იანვარის N32278 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სადოქტორო საგანმანათლებლო ერთობლივ პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ ჩარიცხვისათვის (9 ვაკანტური ადგილი) ბსუ-ს იმ დოქტორანტებისათვის, რომლებიც სწავლობდნენ ბსუ-ს ,,განათლების მეცნიერებების' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული შიდა რიგგარეშე მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2021 წლის 27,28, 29 იანვარი;

ბ) გასაუბრება-2021 წლის 1, 2, 3, 4, 5 თებერვალი;

გ) ათვისებული კრედიტების აღიარება-2021 წლის 15 თებერვალი;

დ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველთა თანხმობის შესახებ განაცხადის რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება -2021 წლის 16, 17 თებერვალი;

ე) შიდა მობილობის წესით ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების მომზადება - 2021 წლის 19 თებერვალი.

3. შიდა მობილობაში მონაწილეობის მსურველმა ბსუ-ს სტუდენტებმა, 2021 წლის 27, 28, 29 იანვრის 18 საათამდე ბსუ-ს ელექტრონულ მისამართზე-info@bsu.edu.ge უნდა გადმოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ცნობა დოქტორანტის სტატუსის შესახებ;
დ) სასწავლო ბარათი (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის მითითებით);
ე) დოქტორანტის სავარაუდო ხელმძღვანელ(ებ)ის თანხმობის წერილი;
ვ) სადოქტორო თეზისის კვლევის ანოტაცია (საკვლევი თემის პრობლემა, აქტუალობა, კვლევის მეთოდები და პრაქტიკული ღირებულება-არაუმეტეს 2 გვერდისა);
ზ) დოქტორანტი ვალდებულია მმართველის საბჭოს წინაშე წარმოადგინოს საკვლევი თემის ანოტაცია ინგლისურ ენაზე.

4. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.

6. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს ამ ბრძანების პორტალზე განთავსება.

7. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს (ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძრვანელს, ლელა თავდგირიძეს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**